ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

50019680
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს
მის.: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 2024 წლის 31 იანვრის №34-3424030230 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვანში, დევნილთა დასახლებაში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ 72.08.27.560) 253 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს კუთვნილი 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი. შესაბამისად, ნაკვეთი ხვდება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის გათვალისწინებულია 20 მეტრიანი დაცვითი ზონა ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან. აღნიშნული დადგენილებით იკრძალება ნებისმიერი ქმედება (მათ შორის შენობა-ნაგებობების მშენებლობა), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა და ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან მისასვლელი გზების ლიკვიდირება ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) და შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/მოსარგებლე, განურჩევლად ფორმისა, ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ნორმატიული შეზღუდვების დაცვა, რაც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პრობლემურია კერძო მესაკუთრეების/მოსარგებლეების შემთხვევაში.

შესაბამისად, ელექტროგადამცემი ხაზების უსაფრთხო და გამართული ექსპლოატაციის მიზნებიდან გამომდინარე, კომპანიისთვის კატეგორიულად მიუღებელია ელ. გადამცემი ხაზის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის განკარგვა. გთხოვთ, გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული გარემოებები და წერილში მითითებული უძრავი ქონების განკარგვა განხორციელდეს ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის გარეშე და მისასვლელი გზის სავალდებულო უზრუნველყოფით. ამასთან ერთად აუცილებელია, მისასვლელი გზის დეტალური პირობები შეთანხმებულ იქნეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან".

პატივისცემით,

david kharshiladze

Digitally signed by david kharshiladze
Date: 2024.02.12 14:13:03 +04'00'

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერი

შემსრ: თორნიკე ხარაიშვილი/577 35 05 72

საქართველოს
მელიორაცია
GEORGIAN
AMELIORATION

+995 032 00 10 0
info@ag.g
www.ag.g

N გ-429
16/02/2024

429-გ-2-202402161521

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში" შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 30 იანვრის 34-3424030233 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი, მოქალაქე გიორგი ბაშარულის განცხადების (#19/3423358205-34; 22.01.2024) საფუძველზე მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში დევნილთა დასახლებაში, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. 72.08.27.560) 253 კვ.მ-ის პრივატიზების საკითხის შესახებ.

გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ 72.08.27.560) საპრივატიზაციო 253 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გადის კომპანიის კაპიტალში (ბალანსზე) რიცხული დახურული პოლიეთილენის მილსადენი (ს/კ 72.00.757), რომლის გასხვისების ზოლი, „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების საამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეადგენს მილსადენის გარე კედლიდან 2-2 მეტრი ორივე მხარეს, რაც აუცილებლად უნდა იყოს დაცული.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემდგომში მიწის ნაკვეთის რაიმე ფორმით გასხვისების შესაბამის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე, დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემების გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს საკადასტრო გეგმის დაკორექტირება გასხვისების ზოლების გათვალისწინებით.

დანართი: სიტუაციური ნახაზი.

პატივისცემით,

თამაზ მღებრიშვილი

გენერალური დირექტორი